საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 9
03/02/2016

9-06-4-201602032307

განკარგულება N9
3 თებერვალი 2016წ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დადგენილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციიოს ბიუჯეტის შესრულების თაობაზე აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კვარტალური მიმოხილვებისათვის კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. კომისიამ რეგულარულად უზრუნველოყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების

კვარტლური მიმოხილვა და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენა და დამტკიცება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დიმიტრი კვერღელიძე



თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო